



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

№8 (9259)

21 მარტი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

21 მარტი ქართული ჟურნალისტების დღეა!

3

ჩვენი და თქვენი

მაცნე

სამტრედიის

ჩარი შენკვლია:

“მეჩაბ ეოსტავას გაცნობის
შემდეგ მზად ვიყავი,
ქვეყნისთვის თავი გამენიხა”

5



ვასილ ამაზუკაელის ხსოვნას



7

“გოეტეს ხალხს გავაცანი
ნინო, შოთა და ილია”

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა!



4

კარატისტების
წარმატება
საქართველოს
ეროვნულ
ჩემპიონატზე



9

4

როგორი ამინდი იქნება ხვალ?

საუკუნის დამჯახბნელი ქეთო ბებო

თმა გაგუნაშვილი

ნარვამარტევეს უნდა მოგიყვებოთ სარვამარტო ამბავი. ეს არაფერი, 8 მარტი და, საერთოდ განაფხული ხომ ქალმა გააგუნაფხულა. ჩვენი მოსაფლოც განაფხულზე უნდა მოჰყვებოთ, მით უმეტეს, რომ მისი გმირი საუკუნე და კიდევ ერთი წელი ითვლის განაფხულს. 17 მარტს კი ასმეორედ მიითვალა.

1917 წლის 17 მარტს დაბადებული ქეთოვან ქორიძე, მატარებლის ბილეთის რიგში მდგარი დაუნახავს გრიშა ბუბუტეიშვილს და ქალიშვილის მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, ადრეულ ასაკში ცოლად შეურთავს. მას შემდეგ ქეთო ბუბუტეიშვილი გახდა. მეუღლეს მეორე მსოფლიო ომში უბრძოლია, მაშინ ქართველებისთვისაც სამამულო იყო ის ომი. შრომაში გადიოდა 6 შვილის გაზრდასა და აღზრდას, ოჯახის გამართვას რომ შეეძლო ის წლები. ასწლოვანი ცხოვრება ღირსეულ ქალობას მიუძღვნა. ასე დასჯაბნა საუკუნე, ჯერ მისი ტოლი გახდა, მერე გაუსწრო კიდევ! გორმადლის თემში გამგებლის წარმომადგენელი ხათუნა ლებანიძე ქეთო ბებოს სანაქებო ქალობაზე გვიყვება, ოჯახი, ადამიანი არაა, მისგან წყენა ახსოვდესო,

ამბობს. გარდა ამისა, ყველა ეხოს გორმადალში, მისი ხელი ეტყობა. მებაღეობა ჩინებულად იცოდა მენობის დიდოსტატმა ქეთო ბებომ. ტანმორჩილი, სასიამოვნო ქალბატონი შეგნოდა ოჯახს და შეგნოდა სოფელს.

ომსახურებდა ყვაილების თაიფულს მოწიწების და მადლობის ნიშნად და მიიღო კიდევ ქალურობის სიმბოლოდ. საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე პირველად, იგი არც მეტი არც ნაკლები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა მიართვა. ადრე, ქეთო ბებოს ახალგაზრდობაში, რაიკომის მდივანი არ დადიოდნენ ყვაილებით ხელში 8 მარტის მისალოცად, თუმცა, “დრო და ცხოვრება მაშინ იყო! ვმუშაობდით, ვწვავდით, მაგრამ შრომა ფასობდა. ახლა რომ გავჭირვება, ასე ვის უჭირდა?! გული მიცხლება, ყოველდღე ტელევიზორში ახალგაზრდების, ბავშვების სიკვდილიანობას რომ ვუხეხ, ხან ქმარი კლავს ცოლს და ხან ცოლი ქმარს.” – სწუნს იგი.

“სარვამარტოდ ყოველივეს ვიღებდით ქალები. იურა შანიძის სახლში გვქონდა ერთხელ სუფრა. მერე კაცებს შემურდათ ჩვენი, ქალები ქეიფობენ და ჩვენ ასე ვუყუროთო? ჰოდა მათაც გააჩაღეს ქეიფი...” – იხსენებს, ძველ, “მის დროს!”

ისიც ახსოვს მეუღლემ რა აჩუქა ერთერთ რვა მარტს: “ქმარი მჩუქნიდა საჩუქრებს აბა, ვინ! ახლა რა არეული ქვეყანა, ასე კი არ იყო, ქმარს ქმარი ერქვა და ცოლს ცოლი. რა მჩუქა და მაჯის საათი, ოქროსი! აბა!” სათვალეს დღემდე არ ხმარობს. სმენაც მწყობრში აქვს და თვალიც, წნევა თუ შეაწუხებს, ისიც ზოგჯერ. 200 წლიანი ვიქნებოდი, ფეხი არ მომტყენიდაო, – გულს იწყვეტს ქეთო ბებო.

უკვე სამოცდაათს გადასცდა მისი უფროსი ვაჟი. დედაქალაქში საცხოვრებლად წასულ შვილებს არ მიჰყვება, კერას ვერ გაგაცივებო. თანაც ამით ხელს უწყობს გორმადლის ფერდობებზე ბავშვობაგამოვლილი მისი შვილები მშობლიურ ფესვებს არ მოსწვდნენ. სანამ იქ, სოფელში დედა ეგულებათ... ვერაფერს ვინამთ, ასეთია ცხოვრება!

“ჯანმრთელობა და ტკბილი სიბერე გუსურვით ქეთო ბებოს, იგი ერთადერთი ქალბატონია ჩვენს მუნიციპალიტეტში საუკუნეს რომ მიადნია. მიუვლოცეთ ქალთა საერთაშორისო დღე და ვისურვებდი, კიდევ მიგველოცოს მისთვის...” – ამბობს მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია.

გორმადლის ფერდობებს ბინდი შეე-



პარა. მთებში შეკილული ბილიყები ახლა ბარში დაეშვნენ. იქ, სოფელში კი, ქეთო ბებო დარჩა, ყმაწვილქალობის და საკუთარი ოჯახის სიყვარულით აშენებულ ბუდეში. არ გაგვიკვირდეთ, სწორედ მისთანები რჩებიან იმედად, რომ ფესვი არ გახმება, კერია არ ჩამოიქცევა და ჭრილით გაიღება იმ ძველი ოდის კარი, ბოქლოში რომ არ დაადო ბავშვობის და ყრმობის მონატრებას, მთის ჩიტვით მთას შებერებულმა, საუკუნის დამჯახბნელმა მოხუცმა.

ინგლისური ენის კონკურსმა გამარჯვებულები გამოავლინა


დიდი ჯიხაიშის საზოგადოებრივ ცენტრში, ინგლისური ენის კონკურსის “მე მაქვს ოცნება” ფინალი გაიმართა. აღნიშნული კონკურსი მიზნად ისახავს ინგლისური ენის პედაგოგების მხრიდან გლობალური საკითხების ინტეგრირებას საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეების მიერ უკეთესი მომავლის, ინგლისური და თანაბარი შესაძლებლობების უმნიშვნელოვანესი საკითხების გააზრებას.

ჟიურის კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა: პირველი ადგილი – მარიამ კაჭახიძემ დაისაკურთა, მეორე ადგილზე – ლია შენგელია გავიდა, მესამე ადგილი – ნინო კობრიძეს ხვდა წილად, მეოთხე და მეხუთე ადგილები ნია კობალიშვილმა და ნია ელიაშვილმა გაინაწილეს.

გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე 2018 წლის იანვრიდან ინგლისური ენის კლუბები გაიხსნა 6 საზოგადოებრივ ცენტრში, მათ შორის, დიდ ჯიხაიშში. პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის მხარდაჭერით.

დიდი ჯიხაიშის საზოგადოებრივ ცენტრში იმყოფებოდნენ მერის პირველი მოადგილე, ირაკლი სულავა, კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

“სამართლის მაგნი”



ამერიკული კავალადან აზიურ ფაროსანამდე ნება, არ გაღვიძროდა

არა მარტო ხალხმა, ვინაობერალიზაციის სიყვითე ფაროსანამაც იგრძნო და... მერე რა რომ აზიურია, ვერაფერს შემოგვედავა, რომელი გზით მოვიდა. გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კი, მიუხედავად ამერიკისაბჭოთა კავშირის შორის არსებული დაძაბულობისა, ამერიკულმა თეთრმა პეპელამ მეორე სამშობლო საქართველოში პპოვა. თავდაპირველად თუთა, მერე კი, მერე გემო სხვა მცენარეებსაც გაუგო.

გაცილებით ძლიერი იყო მაშინ საბჭოეთი, ვიდრე დღეს პოსტსაბჭოური ქვეყნები და მექანიკური საშუალების (ტოტების დაწვა) გარდა ვერტმფრენებითაც წარმოებდა შეწამლა.

შედეგიც გაცილებით ადრე დადგა, რა თქმა უნდა, სასურველი. მთლად ისე არა, მაგრამ აქა-იქ ამერიკული თეთრი პეპელა თავს ისევ გვახსენებს.

რაც შეეხება ფაროსანას, “აზიური სტუმარი” გაცილებით თავზედი აღმოჩნდა და დაუპატიჟებლად ოჯახებში, სახლებში, საძინებლებში, კარადებშიც კი ბინადრობს და დისკომფორტს უქმნის ყველას.

სიმართლესა და რეალობას თვალი გავუსწოროთ, ვერც მოსახლეობაში დარჩენილი ბუკლეტებისმიერი რჩევები და ვერც საწამლავი გამოიღებს სასურველ შედეგს, რამეთუ ჩვენს დაბა-სოფლებში თითქმის არაა იმ ასაკის ადამიანები, რომელთაც უსაფრთხოდ შეუძლიათ აწარმოონ შეწამვლის პროცესი.

რაც შეეხება მოწვას, ეს ხეზე, მაგრამ ოთახებში? მტვერსასრუტების გამოყენებაც მინიმალურად თუ რაიმე შედეგს მოგვცემს. ჯერჯერობით, როცა პაერის ტემპერატურა 15-17 გრადუსს არ ასცილებია, ფაროსანას პირველი “მანარობლები” უკვე გამოჩნდნენ, რა ვითარება იქნება ზაფხულში, ადვილი წარმოსადგენია.

წერილის დაწერა ერთმა გარემოებამ განაპირობა, როცა ოჯახურ ვანშამზე, რომელსაც ორიოდე ოჯახისავე ახლობელიც ესწრებოდა, სად იყო და სად არა, მაგიდაზე ჭერიდან სამი ფაროსანა ჩამოვარდა, მართალია, სამივე განადგურდა, მაგრამ როგორც ჩემთან, ისე სამეზობლოში, ახლობლებთან... მავნებელი მავნებლობს და თანდათან ზამთრის ძილიდან გამოდის.

ორი აზრი არ არსებობს, ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით რომ უნდა ვებრძოლოთ მწერს, მაგრამ ისიც ცხადია, სახელმწიფომ უფრო ქმედითი ღონისძიებები რომ უნდა განახორციელოს.

ასე რომ, გაიღვიძა ფაროსანამ. ნეტავ არ გავლივებოდა!

ბზობა-ბაიობა

ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის აღნიშვნა IV საუკუნეში შემოვიდა. იგი საწყის ძეგლებრავლი დღესასწაულად იღვწის.

დღესასწაულის შინაარსი სახარებისეულ მოთხრობაზე დაფუძნებული, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში, პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი.

მაცხოვარს იერუსალიმის მოსახლეობა ზეიმით შეეგება, ზოგი ფეხქვეშ საკუთარ სამოსს, ზოგი პალმის ტოტებს – ბაიებს, ზოგიც კი ბზის ტოტებს უფენდნენ, თან “ოსანას” შესძახდნენ.

სიმბოლურად ბზობის დღესასწაული იმეორებს სახარების შესაბამის თქმულებას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, პალმის ტოტების მაგიერობას ბზა ასრულებს, სწორედ აქედან წარმოსდგა დღესასწაულის სახელწოდება “ბზობა”.

ამ დღეს ტაძრებში მღვდელმსახურნი მორწმუნეთა მიერ მიტანილ ბზის ტოტებს აკურთხებენ და გალობენ.

ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დღესასწაულია ბზობა, რომელიც წელს 1 აპრილს აღინიშნება ახალი სტილით.

გილოცავთ!

ლევან ბაბუნაძე



27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა!



ლამის 150 წლის სამტრედია კანონიერად ამაყობს იმ ადამიანებით, მნიშვნელოვანი წვლილი რომ შეიტანეს ქართული პროფესიული თეატრის განვითარების საქმეში.

სასიამოვნო და საამაყოა ის გარემოება, რომ სამტრედიაში თეატრალური არც დღეს დალატობენ ტრადიციებს და წარმატებით მიჰყვებიან, ფენს უწყობენ ცხოვრებას, მაყურებელთა გაზრდილ მოთხოვნებს.

სურათზე, რომელიც ღვაწლმოსილმა მსახიობმა, ქალბატონმა მზია ჩიხლაძემ მოგვარა და, სამტრედიის თეატრალური დასის წევრები: ზელიძეან ანდრიაძე, ტარიელ ხაჯალია, ჯულიეტა გოგავა, მზია ჩიხლაძე, შუქუნა ნიკურაძე, ალექსანდრე ერქვანიძე, ნორმან რურუა, ბადრი ჯანჯალია, მაცვალა გვიმიანი, მერი ვასაძე, სერგო დუნდუა, ნოდარ პირველამ-ვილი, ნუგზარ მანჯგალაძე, ზვიად ვაშაკიძე, ოთარ შანიძე, გივი ახობაძე და სხვები არიან წარმოდგენილნი, რეჟისორ ტარიელ ხაჯალიას სპექტაკლის “გზა მშვიდობისა ჯაყო” ჩვენების შემდეგ.

ლევან ბაბუნაძე

როგორი აბინდი იქნება სვალ?

ლევან ბაბუნაძე

ამ კითხვაზე პასუხი, უფრო მასშტაბურად თუ ვიტყვით, ზღვის მიქცევა-მოქცევა, ქარიშხლები, ცუნამი, გვალვა, გამყინვარება და მათი გამომწვევი მიზეზები ყოველთვის იყო კაცობრიობის ცხოველი ინტერესის საგანი. ასეა დღესაც.

წინა საუკუნეებში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მძლავრი ტექნოლოგიები არ არსებობდა, ადამიანი პირადად, შეუიარაღებელი თვალთა აწარმოებდა ბუნებაზე, შესაბამისად, მომავალი დღეების ამინდებზე დაკვირვებას და, რა უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, არც ცდებოდა.

დღეს, კოსმოსის ეპოქაში, უბილოტო ხელოვნური თანამგზავრები გზავნიან უტყუარ სიგნალებს დედამიწაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, მეცნიერების, ტურინების, თავდაცვითი და მთელ რიგ სფეროებში დასაქმებულთათვის.

რომ არაფერი ვთქვათ ადამიანზე, ფრინველები და ცხოველები ჩინებულად გრ-

ძნობენ და შესაბამისად ემზადებიან დარისა თუ ავდრისათვის. რაც მთავარია, ისინი უფრო ნაკლებად ცდებიან, ვიდრე...
საკვირველია ერთი რამ, ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე საათს, ერთი საინფორმაციო საშუალება სხვას აცხადებს, მეორე სხვას!
ასე თუ ისე, როგორც ზოგადად ყვ-

ელაფერში, მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პროგნოზის სიზუსტე აუცილებელზე მეტადაა აუცილებელი თანამედროვე ადამიანისათვის.

23 მარტს მსოფლიო მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, ამდენად, მითხველს საინტერესო ფაქტებს ვთავაზობთ, ბუნების საოცრებებს, თავისებურებებს რომ ასახავენ.

ჰავაის კუნძულზე, ვაიალეალეს მთაზე 350 დღე წვიმიანია.

ჩრდილოეთ პოლუსზე ყოველწლიურად 186 დღის მანძილზე მზე არ ანათებს.

საუდის არაბეთში 1922 წლის 13 სექტემბერს ტემპერატურამ (ჰაერის) 58 გრადუსს მიაღწია.

აგაპში (ციმბირი) 1968 წლის 31 დეკემბერს, დაფიქსირდა რეკორდულად მაღალი ატმოსფერული წნევა – 850 მილიმეტრი (ვერცხლისწყლის სვეტი).
ყველაზე დაბალი ტემპერატურა რეგისტრირებულია სადგურ “ალმოსავლეთზე” (ანტარქტიდა) მინუს 89,2 გრადუსი.

ვაშინგტონის მთაზე (მასაჩუსეტსის შტატი) 1934 წლის 13 აპრილს მქრო-



ლავი ქარის სიჩქარე საათში 371 კილომეტრს აღწევდა.

ბოგარში, კუნძულ იავაზე 1916-1919 წლებში, ყოველწლიურად დაახლოებით 322 დღე ჭექა-ქუხილიანი იყო.

კალამას მახლობლად, ატაკამას უდაბნოში (ჩილი) წლის განმავლობაში ნა-

ლექების რაოდენობა ნულის ტოლია, აქ გვალვის რეკორდი დაფიქსირდა – 400 წლის მანძილზე არ მოსულა ნალექი, მხოლოდ 1971 წელს დასრულდა 400 წლიანი გვალვა.
და მაინც, როგორი აბინდი იქნება სვალ?

ორმოსი წელი რკინიგზის ტრანსპორტზე

საქართველოს რეინიგზაზე, როგორც საერთოდ რეინიგზის ტრანსპორტზე, ელექტრომომარაგების მეურნეობის გამართულად მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკონტაქტო ქსელისა და წვევის ქვესადგურების საიმედოობას, რაც თავისთავად განსაზღვრავს მატარებლების შეუფერხებელ მოძრაობას, ანუ ტვირთების დადგენილ ვადებში გატარებას და მგზავრთა დროულად გადაყვანას. საკონტაქტო ქსელის დისტანცია ყოველ ღონეს მიმართავს, რომ ელექტრომომარაგების საქმეში რეინიგზის სრულყოფილად ფუნ-

ქციონირების აუცილებელი მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ამ მიმართულებით დღედაღამ შრომობს დისტანციის კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას აბესალომ თელია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს პროფტექნიკურ სასწავლებელში. 1977 წელს მუშაობას იწყებს ელექტრომომარაგების უბანში სარემონტო სარევიზიო საამქროს მექანიკოსად, პარალელურად სწავლობს როსტოვის რეინიგზის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ ინიშნება ენერგომომარაგების დისტან-

ციაში შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების ინჟინრად. შემდგომ აწინაურდებიან უბნის უფროსის მოადგილედ, გაერთიანებული სამტრედიის ცენტრის უფროსად, სამტრედიის I-სამტრედია II წვევის ქვესადგურებისა და საკონტაქტო ქსელის დისტანციის უფროსად, სადაც დღესაც კვლავ მოუღლებად აგრძელებს მუშაობას. დიდ ყურადღებას აქცევს მომუშავეთა ტექნიკურ აღჭურვილობას – უზრუნველყოფს სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და დამცავი საშუალებებით. რამდენიმე წელია, დისტანცია უწყნოდ და

უავარიოდ მუშაობს. რეინიგზაზე მუშაობა მეტად რთულია, მაგრამ თავისებური ხიბლი და მიმზიდველობა აქვს. ბატონი აბესალომ ათეული წლებია აქ არის და უკვე “სხვაგვარად არ ძალუქს”. მისთვის ნორმირებული საათები არ არსებობს. მისი პირველი ამოცანაა საკონტაქტო ქსელის დაზიანების სასწრაფოდ აღმოფხვრა და დენის მიწოდება ქსელზე, რათა შეუფერხებლად იმობროს მატარებელმა. მზადყოფნაშია საავარიო დრეზინა, ტექნიკის ყველა სახეობას შესანიშნავად ფლობს, გამოძახებისთანავე ყველა სა-

ჭირო იარაღით აღჭურვილი მიდის საქმეზე, რათა მოკლე დროში ადადგინოს ეს თუ ის დაზიანება. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომელთა შეუფასებელი, მაღალპროფესიული, თავდადებული მუშაობა. აქვე მუშაობენ მოწინავე ადამიანები, ელექტნიკოსები: გიორგი გოგოლაძე, ვაჟა ქაჯაია, რაფიკ ჯამილოვი, ზაზა ვასაძე, ვიქტორ ტკაჩოვი, თემურ ცხვარაძე და სხვები, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ლევან ბაბუნაძე

პასილ აგაზუკელის ხსოვნას

თაბაგაზუკელი

მიცემული სიტყვის შეუსრულებლობა ვერც წარმოუდგენია, იმიტომ, რომ "ჩოხოსან რაინდთა დასის" დამარცხებულა, ბოლოს და ბოლოს, გოგი დლოძი-ვა! ჩემი პირველი მასწავლებელი, უფროსი მეგობარი და საერთოდ, პატრონი იყო, გვიტოვა 14 მარტს მის საფლავთან. ეს მწვანეყვავილაზე მოხდა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. უკვე 41-ე წელია, ყოველ დაბადების დღეს აქ ვასილ ამაშუკელის საფლავზე ვიდე დლოძი. ასე დაპირდა ქართული დოკუმენტური კინოს ფუძემდებელს საქართველოში. წელს პოლიტიკურად "მნიშვნელოვანი" ციფრი დაემთხვა გარდაცვალების თარიღს, თორემ პოლიტიკას ამ ღონისძიებასთან საერთო არაფერი არც ჰქონია და არც ექნება.

მწვანეყვავილაზე პანთეონში ბევრი ისეთი მამულიშვილის საფლავია, საქართველოს კულტურულ-ინტელექტუალური წარსული რომ შექმნა. ქუთაისში, 1886 წლის 14 მარტს დაბადებული ვასილ ამაშუკელი, ბალანჩიშვილის სამხატვრო სასწავლებლის დარსულების შემდეგ, 16 წლისა გახლდათ. მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად წასული "შეოცე საუკუნის საოცრებას", კინემატოგრაფიას რომ ეზიარა და მისი თავგანსმცემელი გახდა. 1908-10 წლებში მან გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: "ხალხის სურნობა ზღვის სანაპიროზე", "შეჯიბრება ცურვაში", "გუბინის პოლის ალღუმი კაპიტან სიმონ ესაძის მონაწილეობით", "გემის გადმოტვირთვა", "შეშობა ფერმაში" და სხვა. თუმცა, ამ ფირებიდან არც ერთი ჩვენს ეპოქამდე დღევანდელი არ გახლავთ. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს" მისი ის ნამუშევარია, რომელიც

სრულ წარმოდგენას ქმნის ავტორის პროფესიონალიზმზე. აქვე ისიც, რომ დაკარგულია "აკაკი წერეთლის მოგზაურობა ქვემო იმერეთში - ქვეტირსა და მუხიანში". ვასილ ამაშუკელი აკაკი წერეთლის მოგზაურობის ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდს იღებდა. სულ გადაღებული 1500 მეტრი ფირიდან დამონტაჟების შემდეგ 1200 დარჩა. დღეისათვის კი მხოლოდ 554 მეტრია შემორჩენილი. ეს გახლავთ ფილმი, რომელსაც ქართველმა ხალხმა 90 წლის იუბილე გადაუხადა.

ამგვარი მოკლე ისტორიული ექსკურსი, კინორეჟისორმა გოგი დლოძიმ თავდაპირველად კინემატოგრაფისტის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი წარსული გააცნო, ან შეახსენა სტუმრებს. და იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა მეტი იცოდნენ ვასილ ამაშუკელის შესახებ, მისი ინიციატივით ყოველწლიურად იმერეთის რაიონებიდან მოსწავლეები ჩაჰყავთ მწვანეყვავილას პანთეონში.

გამონაკლისი არც წლებიდანღია წელი ყოფილა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით ტრანსპორტი გამოიყო და სამტრედიიდან პირველი, მეორე, მესამე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საჯარო სკოლების წარწინებული მოსწავლეების ნაწილი ღონისძიების მონაწილეები იყვნენ. მწვანეყვავილას მისი ყველა სტუმარი და ორგანიზატორი ოპერის თეატრში ოთარ თაქთაქაშვილის უკვდავი "მინდის" მსმენელი გახდა, რომელიც საგანგებოდ ამ დღისათვის შესრულდა.

ვასილ ამაშუკელის საფლავზე მისი დაბადების დღის აღსანიშნავად ქუთაისის მერი გიორგი ჭიღარია და იმერეთის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალაშვილი იმყოფებოდნენ. სახელდახელო ღონისძიებაში, რომელიც იქ გამართა მონაწილეობდა ახალგაზრდული დასი "მარჯანიშვილები".



14 მარტი ქუთაისში მოსწავლეებისთვის ინტელექტუალურად დატვირთული

აღმოჩნდა. ამობდნენ კიდევ, რომ აქ სტუმრობით ცოდნის არეალი საინტერესო ამბებით გათვაროიყეს.

“ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს!”

თაბაგაზუკელი

პროტესტი! პროტესტი ლექსით, სიმღერით, სიტყვით!

პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები მთელი კვირა ოკუპაციას ასე "ებრძოდნენ". ამ ღონისძიებას სამშობლოს სიყვარულის დიდი შინაგანი მუხტი ახლდა. პირველ საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ ისტორიული რარიტეტები ამოკრიბა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან. მოსწავლეებმა ფრაგმენტულად გაიხსენეს მოკლე ნები სხვადასხვა ეპოქიდან, რამაც საქართველო რუსეთს ნებსით თუ უნებლიედ დაუკავშირა. პროტესტის გამოსახატად გამართული კვირული კონფერენციით დაიწყო. თემა, ბუნებრივია, "არა ოკუპაცია!" გახლდათ. მე-8 და მე-9 კლასელებმა, პედაგოგ ლია ცინცაძის მოსწავლეებმა, საკუთარი ნაშრომები წარადგინეს. კვირულის ფარგლებში გამართა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების ჩვენება, რასაც დისკუსია მოჰყვა. ქალაქის ქუჩებში მხვდებოდაც მოსწავლეების წავლევებმა შესაბამისი ლოზუნგებით.

სკოლის ყველაზე დიდ დარბაზში შეკრიბეს სტუმრები თავიანთი სათქმელის გასაზიარებლად მეშვიდეკლასელებმა, მარინა ბოკუჩავას სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებმა. "ეს ფაქტობრივად, შემეცნებითი გაკვეთილია ოკუპაციის თემაზე" - გვიტოვა ღონისძიების ორგანიზატორმა და ამ კლასის ისტორიის პედაგოგმა ინგა ხელაძემ, რომლის ბოლო აკორდი დღის ძეგლთან 9 აპრილის და სამშობლოს თავისუფლებისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის პატივსაცემად გახლდათ.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატიდან 2008 წლის ოპამდე, დღევანდელ



ნდელ მცოცავ ოკუპაციამდე, ორი ქვეყნის ურთიერთობები მხატვრულ-დოკუმენტურად გაცოცხლეს და საზოგადოებას შეახსენეს მოსწავლეებმა. პარალელურად ქვეყნის ცხოვრებისა და ისტორიის გმირული ფრაგმენტები კინოგადრებად გადაიღა მონიტორზე.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ერთმორწმუნეობის შირით მოყვრად მოსული მტრის ამძლე თვალხილვლად მთარგო მეზობელ სახელმწიფოს. საბჭოთა ეპოქას გამორიდებულმა და მათ შემდეგ მომავალმა თაობებმა კეთილმეზობლობის ჩრდილში ოკუპანტის ზრახვები აშკარად დაინახეს, მით უმეტეს, რომ ისევე არ შუშდება ქართველობის იარა, სამაჩაბლო და აფხაზეთი რომ ჰქვია!

პირველი საჯარო სკოლის დიდი დარბაზი სტუმრებს მასპინძლობდა. იყვნენ პედაგოგები, მოსწავლეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ის ადამიანები საკუთარ თავზე რომ აიღეს სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლის მისია.

იმ ღონისძიებებზე ერთმანეთზე უკეთესი იყო ყველა გამომსვლელი. ყველა მოსწავლე. გემოვნებით შერჩეული მასალა და ტექნიკური გაფორმება შთაბეჭდავს ხდიდა საღამოს. მზისუენ გაფრინილი მერანის მხედრები, "რაზედ მოგიყვანია, აწმყო თუ არა გსწავლობს", მომავალი ჩვენით გემოდებოდესო, ეუბნებოდნენ ქვეყანას. საკუთარ თავს კიდევ ერთხელ ასხენებდნენ, "ჩვენი საქართველო აქ არის!" ემოციებით მოჰყვანენ სიმზრდ ნანახი თეთრი გედის ამბავი, "შვილო შავეთის გათხოვებით", რომ შესტიროდა საცხრაპრილოდ ბარ-ჩიხბით დაჩეხილების დედად ქვეული ქართველი ერი. სულის სიმებს განსაკუთრებულად ეხებოდა "გამარჯობა აფხაზეთი შენი" და სხვადასხვა გამომხილი ჰქონდა სიტყვებს - "წინაშე მართალი რომ მოკლეს ილია..." სწორედ მაშინ დასრულდა უფრო მეტი გააპროტესტეს პირველსკოლელებმა ოკუპაციის კვირულის ფარგლებში და ხმადაღდ ღონისძიებები დასრულდა. მით უმეტეს, 9 აპრილი მალე კვლავ მარილს მოაყრის, წლებია პირმოუკრავ ჭრილობას.

ფილმის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები და მათი მშობლები ერთმანეთს შეხვედნენ და მათ შორის გასაუბრებელი საუბრები გახდა. მათ უმეტეს, 9 აპრილი მალე კვლავ მარილს მოაყრის, წლებია პირმოუკრავ ჭრილობას.

ფილმის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები და მათი მშობლები ერთმანეთს შეხვედნენ და მათ შორის გასაუბრებელი საუბრები გახდა. მათ უმეტეს, 9 აპრილი მალე კვლავ მარილს მოაყრის, წლებია პირმოუკრავ ჭრილობას.

მინიატურები

 მარწყვად რომ გამოგედევნე,
 ხეზე ამასწარ აღუბლად.
 ვერ ავეგრებ შენს ხეზე
 მალულად...
 მე ტკბილნერვესიტყვით ავძახე,
 მტავედ მომივე ქალურად...
 მარწყვად რომ გამოგედევნე,
 ხეზე ამასწარ აღუბლად.

 ისე თბილად ჩამძინებია,
 თითქოს ვიგრძენ, რომ დედანქმამ
 ფიქრით დამიწვია...

 ისეთი ამინდია, ჩია თებერვალი
 ღრუბლებს მავზე უკრავს ღილებს.
 დამე კი თითქოს ცას ხმამაღლა კი-
 თხულობს და
 წვიმებს იხეპირებს...

 ცას აუშლია შავი წარბები,
 დარი ღარდანი ამშვიდებდა
 დღეებს ქორიანს,
 გაღვიძა და ისე ავივლა კარალი-
 ივი,
 მთელი სოფელი კვილებით აიყოლ-
 ია...

 წვიმით სითბოს კედლები
 ჩამოიღვენია,
 თხილებს კვირტები მოესურათ...
 ვაჟის თვალები ქაღმი რომ
 ჩაეწვითა,
 დიმილი შეფეხად მოესხურა...

 ღამით ანთებული სახლის
 სარკმელივით
 მიფურება თვალები დედის,
 სადაც ვიღაცა ვეღაზე ახლობელი
 და შენზე მოფიქრალი გელის...
 ღამით ანთებული სახლის სარკმელ-
 ივით.

 ღრუბელი რომ თავზე დამტრიალე-
 ბს,
 იქნებ დედის ნაფიქრალიდან გამოი-
 ვა
 ნაღველის ნაფლეთი?
 ახლა მოწყენილ ბალახებს და გათ-
 ანგულ ფოთლებს
 ჩემზე რომ ადარდინებს?!

 პატარა მდინარე რომ
 მორაკაკებს,
 ეს ვაჟის გოგონასათვის გამოვიდება,
 უბრალოდ გაზაფხულს მის ენაზე
 უთარგმნა...

 ცის ვარსკვლავი სახეზე ხალივით
 რომ
 ამოსვლია,
 იმ ადგილას, სადაც დედანქმამ
 ჰქონდა სიცოცხლეში...

 მთვარე ენაზე ცის ლუმელში
 ლავამივით გამოცხვარი.
 ენაზე ასევე გაზაფხული
 შენს ღიმილზე ჩამოძვარდა.

 გიცქერი და გეალები,
 გიცქერი და მეალები,
 შენი გვირა შავთვალის
 წამწამაძლილ გვირაბებში.

 დაწუნებულ ლექსით
 მივდებულს,
 მოვიდნენ მშობლები და
 ფიქრზე მომეფერნენ.

ანდრე თოფჩიას

საინტერესო კონფერენცია მე-9 ბაგა-ბაღში

ნათია ნაცვლიძე

ძალზე საინტერესო მშობელთა კონფერენცია თემაზე "მე და ჩემი ბაგა-ბაღი" გაიმართა მეცხრე ბაგა-ბაღში. მეთოდისტი მანანა გოდუაძე მშობელთა წინაშე წარსდგა მოხსენებით. მისი თქმით, მსგავსი შეხვედრები მიზნად ისახავს მშობლებისა და პედაგოგების დაახლოებას, რათა, ერთად გააზრონ ის მნიშვნელოვანი მეთოდები, საკითხები და პრობლემები, თანამედროვე ბავშვის აღზრდაში რომ დაგვეხმარება. მანანა გოდუაძე: "დედობა უდიდესი შემოქმედებაა, ჩვენს წინაშეა პატარა, რომელიც გამოიჩენს თავისი აგრესიულობით, შფოთვის მაღალი დონით, აღზრდა იმდენად რთული პროცესია, ნაუცბათვე გადაწყვეტილებებს არ ეპირიილება. როცა ოჯახში საუკეთესო ურთიერთობებია, სითბო და სიყვარული სუფევს, ასეთ გარემოში აღზრდა ნორმალურად მიმდინარეობს. ბავშვის აგრესიული ფონი 2 წლიდან ჩნდება, 4 წლის ასაკში პიკს აღწევს თუ ამას მშვიდად შევხვდებით, ვიმეგობრებთ ჩვენს პატარებთან, ეს ფონი თანდათან იკლებს. ირგვლივ ხშირია ძალადობის შემთხვევები, ვამბობთ: არა ძალადობას, მაგრამ, ხშირად ჩვენი პრობლემები, იქნება სამსახურებრივი თუ სხვა, შეიძლება გვაკვიწყებს ბავშვისადმი სითბოს გამოხატვას, თუ მას ტკივილს მიაყენებთ, მერე მას უქვეითდება ყურადღების და კონცენტრაციის უნარი. იყავით ბავშვის გვერდით, მისი ყურადღება გადაიტანეთ მნიშვნელოვან თემებზე, არ წავახალისოთ (განსაკუთრებით მაშინ) "შვილებში აგრესია, ეცადით არ დაიწყოთ პატარებთან საუბარი, არ წავუყვინოთ მათ ასაკთან შეუფერებელი მოთხოვნები, სჯობს, თქვენნი შვილი იყოს ლიდერი პატარებში, ვიდრე ჩამორჩენილი დიდებში." მეთოდისტი დედებს კარგად აპრობირებული ფსიქოლოგიური ტექსტი შესთავაზა. დედებმა კითხვარი შეაესეს და საინტერესო მოსაზრებებიც მოისმინეს მიღებული ქულების შემდეგ. მმართველმა ნანა უგულავამ ასევე მოამზადა მშობლებისათვის გარკვეული რეკომენდაციები, რაც შვილების აღზრდაში გამოადგებათ. ესენია: ვარიდებ ბავშვს კომპიუტერის ეკრანთან დიდი დროის გატარებას, ვეხმარები ემოციების გამოხატვაში, ხელს ვუწყობ სხვების დამეგობრებაში, ხაზს ვუსვამ მის კარგ და ძლიერ მხარეს, ხშირად ვუბნები: ძალიან მიყვარხარ." – წარმოადგინეთ, რომ ოთხი უჯრა გაქვთ: შიშის, სისუსტის, სიძლიერის და ბედნიერების. რა დევს ამ თქვენს ოთხ უჯრაში? ასეთი დავალება შესთავაზა ფსიქოლოგმა მანანა გოდუაძემ მშობლებს და საინტერესო პასუხებიც მოისმინეს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის დედებთან. მუსიკის პედაგოგ ქეთევან რამინაშვილის მიერ მომზადებული არაერთი ლამაზი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნიმუში შემოგვთავაზეს პატარებმა. აღმზრდელები ხათუ-

ნა შენგელია, მაია ანდლუაძე და აღმზრდელის თანაშემწე ლეილა ნუცუბიძე ასევე წარსდგნენ მშობელთა წინაშე თავიანთი ხედვებით. ძალზე საინტერესო იყო პედაგოგების შეთავაზებული თამაშ-ექსპერიმენტი "გამოცანი შენი შვილი". უკლებლივ ყველა დედამ თავისი შვილის მიერ დახატული ნახატი ამოიცნო. ღონისძიება შეათვას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა ხათუნა გაგუამ: "უპირველესად ყველას გილოცავთ დედის და ქალთა დღეებს, დედობა სიძლიერება, ერთმანეთზე მეტად ძლიერები ხართ, მიხარია, ასეთი ლამაზი და საინტერესო, არასტანდარტული შეხვედრა რომ შედგა, ქალბატონი მანანა გოდუაძე განსაკუთრებული ადამიანია, მისგან უამრავი რამ შეიძლება ისწავლოს აღმზრდელმაც, მმართველმაც და თითოეულმა ჩვენგანმა. დღეს გამოჩნდა, რამდენად კარგად იცნობთ თქვენს შვილებს, თუ თქვენ კმაყოფილი ხართ იმით, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს ჩვენს გამარჯვებას ნიშნავს. ყველა ბაღში მშობელთა კომიტეტი არსებობს, ვითვალისწინებთ თქვენს მოსაზრებებს, იქნებ რამე პრობლემა გაქვთ, მობრძანდით ჩვენთან და ერთად ვიზრუნოთ მათ აღმოსაფხვრელად, მინდა გკითხოთ, რამდენად კმაყოფილი ხართ მენიუში ცვლილების შემდეგ? რას შეცვლიდით პირადად თქვენ მენიუში თუ მეცადინეობაში? ნუ გაგვიბრაზდებით, თუ ყოველდღე ბანანს და კივს ვერ მივართმევთ, ვაშლი კი ყოველდღე მათ მენიუში. შეგიძლიათ, თავადვე დაეწეროთ კვების პროცესს."

მშობლებმა განაცხადეს, რომ მოსწონთ არსებული კვების რაციონი და მათი შვილები ბაღიდან დანაყრებულნი ბრუნდებიან. განსაკუთრებულად ემოციური იყო ერთ-ერთი მშობლის, ინგა თოხაძის გამოხატვა: "ძალიან პროდუქტიული შეხვედრაა, ბევრი კარგი რჩევა მოვისმინე, ეს რეკომენდაციები დაგვეხმარება ნორმალური ურთიერთობის განსაზღვრისას. ბავშვებში ღრმა ზნეობრივი იდეალები სწორედ აქედან ყალიბდება, ხომ გახსოვთ, "რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის". მინდა ქედი მოვიხარო ამ კოლექტივის წინაშე, გისურვებთ, ყოველთვის გეამაყოთ თქვენი აღზრდელბით, ეს დღე ნათელი მაგალითი არის იმისა, რომ ეს ბაღი არ არის ისეთი, როგორც ყველა სხვაა. თქვენ ფეხს უწყობთ სახელმწიფო პოლიტიკასაც, რაც ხორციელდება იგივე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით. გისურვებთ, ლამაზ გაზაფხულს თქვენში არასოდეს დაეწამთრებინოს". მან გამოხატა დედაზე ლექსით დაასრულა. შეხვედრის ბოლო აკორდი დედიკობისა და შვილებს ერობობის ცეკვა იყო, დედებმ ასევე დასაჩქარებენ ყვეალებით.



მიმხარს ქართული

არ მიყვარს სიმღერა ფრანგული, არც ესპანელის დაკრული, მე მიჩვენია ქართული და ინსტრუმენტი ფანდური, ვენებში გადახლართული...

მიყვარს ცხოვრება ღმრთისანი და ყოველი დღე მზისანი, მუდამ ჩვეული მიზანი, შეუპოვრობა მგლისანი

არ მიყვარს ღიმილი მზაკრული, არც იმედები ზღაპრული, ღვინო ძველ თასში დასხმული, მე მიყვარს სიტყვა ქართული.

არ მიყვარს კაცი თავხედი, ქალს რომ ეძახის მსახურსა, მე მიყვარს ადამიანი, რომ არ არცხვენდეს ქართულსა, არ მიყვარს სიყვითის პიარი, არც მტერთან მიწის ზიარი, მე მიყვარს სამშობლო მთლიანი, უფალს რომ ესაუბრება ვაზის მტევნები ცვრიანი.

არ მიყვარს დედის გინება, შემდეგ სუფრანზე ღვინება. მე მიყვარს სიმართლის დინება, ღმერთთან რომ მიედინება.

არ მიყვარს აზრი მართული, უაზროდ გამოხატული, მე მიყვარს სიმღერა ქართული, გულიდან ამოქარგული.

არ მიყვარს ვლოცავდე მომავალს, მაიწყნებოდეს წარსული. შემოსევები სპარსული და გამარჯვება ქართული.

დრო იყოს დროთა მშვენიერება, უხედარ ცნენთა ჭენება, მე მიყვარს დილით მზესთან აღერსი და ღამით მთვარის ფერება.

მირიამ კახალიძე



გალერეა

კარგ ფაქტებსა და ხეობებს ჩვენთვის ღირსი ფაქტები

ლიზან გაგინაძე

სამტრედიის სახელობის საშუალო სკოლის შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეტალოგია, მევენახეობა, მეღვინეობის ფაკულტეტი დაამთავრა.

ბატონმა ნუგზარ შენგელიამ საინტერესო გზა განვლო რიგობით კოლმეურნიდან დაწყებული, მეცნიერებათა დოქტორობამდე.

წლების მანძილზე მუშაობდა იგი საქართველოს მეტალოგია, მევენახეობა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. იყო უმცროსი, წამყვანი და უფროსი მეცნიერ-მუშაკი. გახლდათ აგრეთვე ინსტიტუტთან არსებული საერთაშორ-

ისო სამეცნიერო ცენტრის ლექტორი.

1987 წელს ბატონ ნუგზარს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა, 2006 წელს კი გახდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია, ისრაელი ის ქვეყნებია, სადაც იგი არაერთხელ იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებითა და სტაჟირების მიზნით. საზღვარგარეთ მიღებულ შთაბეჭდილებებს, ცოდნას უმურველად ახმარდა ქართულ, ეროვნულ საქმეს.

ნუგზარ შენგელიას მიერ გამოყვანილი კაკლის ახალი ჯიშები და მათი ჰომოლოგიური დასასაბუთებები შეტანილია გაეროსა და ევროპ-

ის რეგიონალური ოფისის სხვადასხვა ენებზე გამოცემულ კატალოგებში.

აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ერთობლივი პროექტების დანერგვა-გავრცელებაში, რასაც უდიდესი მამულიშვილური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

“ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რაც მისთვის შესაძლებელია და რაც მას ეკადრება”. – წერდა არისტოტელე.

ხელმწიფებით შეეფერება ეს სიტყვები ბატონ ნუგზარ შენგელიას პიროვნებას, მან ხელი მოჰკიდა და მთელი ცხოვრება ემსახურება საქმეს, რომელიც შესანიშნავად შეძლო

და აკეთებს ისე, როგორც მას, ჭეშმარიტ ქართველს ეკადრება.

თვალის დახამხამებებში გაფრენილან წლები, თუმცა ვერაფერი დაუკლიათ ოჯახზე, მოყვასზე, სამშობლოზე, საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ჭარმაგი კაცისათვის, ვისთვისაც სულერთი არაა ჩვენი ქვეყნისა და ერის მომავალი, სვალინდელი დღე.

ერთგული მეუღლე, შვილები, შვილიშვილები უღამაზებენ ცხოვრებას ღვაწლმოსილ, პრაქტიკოს მეცნიერს.

ამ დღეებში 70 წლისა ხდება ჩვენი თანამემამულე, მამულის სვებელზე ღრმად დაფიქრებული, მეგობრისა და მეგობრობის მცოდნე და გამტანი კაცი, ბატონი ნუგზარ შენ-



გელია. პატივისცემით ვულოცავთ იუბილეს და წელთა სიმრავლეს, წარმატებებს ვუსურვებთ მას მრავალრიცხოვან კეთილმსურველთა გასახარად, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კარატისტების წარმატება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე

2018 წლის 9-10 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტური კარატეში. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრები 4 კაცის შემადგენლობით. წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა კარატისტებმა. გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტული და პირველი ადგილი დაიკავა მანანა მუქერიაძე. მეორე ადგილები დაიკავეს თამარ ბიბილაძე და მარიამ გოგიტაურმა. ვაჟებს შორის მეორე საპრიზო ადგილზე მურმან ღერბიძე გავიდა.

ჩემპიონი და პრიზორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ოთხივე სპორტსმენი შეყვანილია საქართველოს ნაკრებში.

მწვენიელ-მასწავლებელი სანაო მინაო კანთარია

ირინა და გოგი ნიშნაძეები იუსტიციის მინისტრის ტარიელ კალანდაძის გარდაცვალებას და თანაუგრძობენ ჭირისუფლებს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძობს ნინო ნანიტაშვილსა და ბადრი ვაშაკიძეს დედისა და სიდედრის **მერი შამრილაძე-ნანიტაშვილის** გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძობს ნინო ნანიტაშვილსა და ბადრი ვაშაკიძეს **დედისა და სიდედრის** გარდაცვალების გამო.

“სახლი თანადგომას” თანამშრომლები თანაუგრძობენ ნინო ნანიტაშვილისა და ბადრი ვაშაკიძის ოჯახს დედისა და სიდედრის, ქალბატონი **მერის** გარდაცვალების გამო.

მშვენიარ ბოხუა და ნაწული კეკელიძე ოჯახებით თანაუგრძობენ ნინო ნანიტაშვილისა და ბადრი ვაშაკიძის ოჯახს დედისა და სიდედრის, ქალბატონი **მერის** გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი და ვაჟა ტყეშელაძე თანაუგრძობენ ნინო ნანიტაშვილსა და ბადრი ვაშაკიძეს დედისა და სიდედრის კეთილშობილი ქალბატონის **მერი შამრილაძის** გარდაცვალების გამო.

მადლიანად ხირბაძე და გურანდა გურგენიძე თანაუგრძობენ ნინო ნანიტაშვილსა და ბადრი ვაშაკიძეს ქალბატონი **მერი შამრილაძის** გარდაცვალების გამო.

ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძობს ნინო ნანიტაშვილისა და ბადრი ვაშაკიძის ოჯახს ქალბატონი **მერი შამრილაძის** გარდაცვალების გამო.

გაეროს წევრი სამხრეთის “ლოკომოტივის” დასახარებლად მერიან შამრილაძის ბრძოლა (გვიცხ) ნიშნაძისათვის

ის 2018 წლის 9 მარტს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. გრძელ ეკუთვნოდა იმ ვეტერან ფეხბურთელთა თაობას, რომლებიც წლების განმავლობაში იცავდნენ სამტრედიის “ლოკომოტივის” ღირსებას. იგი ახალგაზრდა მოვიდა “ლოკომოტივის” ფეხბურთელთა რიგებში და ღირსეულად დაიმკვიდრა მისი ადგილი როგორც ღირსეულმა ფეხბურთელმა. მას ქონდა, როგორც ფეხბურთელს, თავისი თამაშის სტილი, იყო შემტევი ფეხბურთელი. მის მიერ გატანილი გოლებს ბევრჯერ მოუტანია გამარჯვება სამტრედიის “ლოკომოტივისათვის”. აქტიურად მონაწილეობდა სამტრედიის სპორტის, კერძოდ კი, ფეხბურთის განვითარებაში. იყო მეგობრობისა და სიყვარულის მატარებელი ადამიანი, უადრესად კეთილი და პატიოსანი, კარგი სამტრედიელი და სამტრედიელზე შეყვარებული, რისი მაგალითიცაა, რომ მას ბევრჯერ ჰქონია შემოთავაზება სხვა რაიონებიდან, მათთან გადასულიყო სათამაშოდ, მაგრამ ის სიცოცხლის ბოლომდე დარჩა თავისი რაიონის ერთგული და

არასოდეს წასულა გუნდიდან. სამუდამოდ დარჩება გრემას (გვიცხ) ხსონა და სიყვარული იმ ადამიანების გულებში, ვინც მას იცნობდა. მადლობა მას, მისი სიცოცხლის ღირსეულად დამთავრებისათვის.

მამულობა

განცხადება

მიმდინარეობს საზოგადოება "სამტრედიის" წევრთა ხელახალი რეგისტრაცია და საზოგადოებაში გაერთიანების მსურველთა განცხადებების მიღება. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: გენო გეგეშიძის ქუჩა №4. ტელეფონი: 599 40 33 43; 595 55 39 09.

საზოგადოება "სამტრედიის"

ირა ზელინსკაიას!

მარად უბერებელ, ძალიან თბილ და გულისხმიერ ირა დეიდას დიდი სიყვარულით ვულოცავ 80 წლის იუბილეს! ბედნიერ დღეთა სიმრავლე და ჯანმრთელობა დაბედობდეს, ეხაროს მისი დიდი ოჯახის კეთილდღეობით. კიდევ ბევრი მარტი და გაზაფხული მომელოცოს მისთვის, არა მხოლოდ როგორც ირა დეიდასთვის, სამტრედიის ახლო წარსულის მემკვიდრისა და ღირსეული თანაქალაქელისთვის!

თბა ბაბუნაშვილი



დაბადების დღეს გილოცავთ,
ჩვენო დეკაკო დათო,
მალე ჩამოდით ჩვენთან,
სუფრასთან უნდა გაქოთ.
ამ შენს პატარა ქალაქს,
ზურგს ნუ შეაქცევ ნულარ,
სამ ჩაფ ღვინოს და ბოჩოლას,
ზონჩით მოგართმევთ "ბულა"!



ვულოცავთ!

პატარა თაია დაიბადა "სამტრედიის მაცნეს" კედლებში დავაგვაცემული ზიკო ჯინჭარაძის ასული, ჩვენი კოლეგა ეკა ცომაიას შვილიშვილი. ბედნიერი ყოფილიყოს მისი ქვეყნად მოვლინება, სასახელო ქართველად აღეზარდოთ პატარა თაია!

"სამტრედიის მაცნე"

ანანო ბაღდავას!

მეთვრამეტე მარტი გაზაფხულად დაებედება მზის ღიმილით საგსე იმ გზას, შენ რომ წინ გიდეგს. ლხინით, ჯანით, ბარაქით, წარმატებებით, ნიჭიერებით აღსავსე გქონოდეს ყოველი დღე. სიყვარული და ერთგულება, განუსაზღვრელი ბედნიერება გმეგზურობდეს, მოკეთე და მოყვარე არასდროს გეცოტავოს. გამრავლდი და გაიზარე ჩვენო ერთ ღროს კუდრაჭა ვოგო, დღეს კი მშვენიერო ანანო!

ღამის ბაბუნაშვილი



მაცნეო სტუდენტებს!

დიდი სიყვარულით, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ იუბილეს, მუდამ მოფუსფუსე, დაუღალავ, დახმარების ხელის გამოწვდისათვის დღედაღამ მზადყოფნა, თბილსა და გულისხმიერ მაცნეო ბებოს, ჩვენი ნატურების ამსრულებელს, პატარების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგომით დაუდღეს! გესურს, რომ სულის სიმხნევე, სიხარული, ღიმილიანი დღეები არასოდეს მოგკლებოდეს! გვეიმედებო, ბებო! გეფერებო...

მამულიშვილები და მამულიშვილები: აკაკიანი, ბიბა, თინათინა, გარიაში, ანა, ნინო, ანასტასია

თბა ბაბუნაშვილს!

20 წელია, რაც თბა ბაბუნაშვილი "სამტრედიის მაცნეს" ღირსეული გუნდის წევრია, მეორე ოჯახად რომ მიუჩნევა რედაქცია და გაზეთი. დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს კოლეგას დღევრძელობას და წარმატებებს ვუსურვებთ!

"სამტრედიის მაცნე"



ზაზა თოფურაძის!

ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში!

ბაქან გოგია

ბონლო ზირცხალავას!

ჩვენს უსაყვარლეს, უერთგულეს ადამიანს დიდი სიყვარულით ვულოცავთ 90 წლის იუბილეს! ჯანმრთელობა არ მოგკლებოდეს, კიდევ დიდხანს იყავი ჩვენს გვერდით, ასე მხნედ და ომახიანად!

მამი დიდი ოჯახი



შენგელიების ოჯახს ვულოცავ ბატონი კარლოს დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოკლებოდეს!

ბაქან გოგია



ღამის მსაამს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ვისურვებთ ჯანმრთელობას. უფალი გფარავდეს!

ბაქან გოგია და თამაზ ნიჟარაძე

შალვა, გიორგი და გივი დადანიძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უღრეს სიხარულს, გფარავდეთ ღმერთი!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839



დირექტორი ბაქან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე
გამომშვეები რედაქტორი თბა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე